ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №4

(საქონლის შესყიდვა)

13 იანვარი 2020 წელი

ქალაქი ფოთი

1.1 ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა გუგუშვილის სახით - შემდეგში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ, შპს „ორგსერვისი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა ნემსაძეს სახით - შემდეგში „მიმწოდებელი“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება და კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 შესყიდვის საშუალება -გამარტივებული შესყიდვის საშუალება

2.2 შესყიდვის კატეგორია - **22800000** - ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები

30100000 - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა

31400000 - აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები

39200000 - ავეჯის აქსესუარები

CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლის ფასი
22851000	საქაღალდე ბაინდერები	ცალი	10.00	5.20	52.00
22852100	ფაილი	შეკვრა	10.00	6.40	64.00
30124400	სტეპლერის ტყვია	ცალი	5.00	0.70	3.50
30197100	კლიპი	ცალი	40.00	0.10	4.00
30197100	კლიპი	ცალი	12.00	0.20	2.40
30197100	კლიპი	ცალი	12.00	0.30	3.60
30192160	კორექტორი ფუნჯით	ცალი	2.00	1.20	2.40
39241200	მაკრატელი	ცალი	1.00	2.85	2.85
31440000	ელემენტი	ცალი	8.00	2.50	20.00
30197220	სკრეპი	ცალი	1.00	0.60	0.60
30197120	ჭიკარტი	ცალი	1.00	1.10	1.10
22816100	ბლოკნოტი	ცალი	1.00	12.50	12.50
30192122	კალამი	ცალი	2.00	3.20	6.40
30192122	კალამი	ცალი	2.00	3.20	6.40
30192122	კალამი	ცალი	5.00	0.60	3.00
30192122	კალამი	ცალი	8.00	1.00	8.00
30192122	კალამი	ცალი	4.00	3.10	12.40
22832000	ჩასანიშნი ფურცლები	ცალი	2.00	2.90	5.80
სულ					210.95

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის ღირებულება შეადგენს 210.95 (ორასათი და ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2020 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება-ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი.
9.2 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით; ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.
9.3 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების მიწოდებისას დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები და მთლიანად პასუხისმგებელია მიყენებულ ზიანზე.
9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''	,,მიმწოდებელი''
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის	შპს „ორგსერვისი“
სპორტისა და ტურიზმის ცენტრი	
	ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.
ქ.ფოთი, 26 მაისის N7	საიდენტიფიკაციო კოდი:212693851
საიდენტიფიკაციო კოდი: 415106414	
სახელმწიფო ხაზინა	სს ,,თიბისი ბანკი''
	ბანკის კოდი:GE32TB0300000030467356
დირექტორი	
ბექა გუგუშვილი	დირექტორი: ხვიჩა ნემსაძე

Beka Gugushvili
Digitally signed by Beka Gugushvili
Date: 2020.01.13 16:07:17 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის

ქალაქ ფოთი 13 იანვარი 2020 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელ **შპს „ორგსერვისის“** მიმართ.

,,შემსყიდველი''
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სპორტისა და ტურიზმის ცენტრი

დირექტორი **ბექა გუგუშვილი**

Beka Gugushvili

Digitally signed by Beka Gugushvili
Date: 2020.01.13 16:08:16 +04'00'